დადგენილება № 03/2025 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მომზადების მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ახალ დარგობრივ მახასიათებელთან (სტანდარტთან) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

დადგენილება № 03/2025

თარიღი: 26 თებერვალი, 2025 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და 57–ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის - ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.11.2024 წ. ბრძანების „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ახალი დარგობრივი მახასიათებლის (სტანდარტის) დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება N MES 8 24 0001477053), განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრის წერილის (MES 4 24 0001618043, 16/12/2024), კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (N02; 24.02.2025 წ.) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 თებერვლის №02 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მომზადების მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ახალი დარგობრივი მახასიათებელის (სტანდარტის) შესაბამისად განახლებული, სააკრედიტაციოდ წარსადგენი თანდართული დოკუმენტაცია (სასწავლო გეგმა, პროგრამის აღწერილობა,

სასწავლო კურსების სილაბუსები, პრაქტიკის განხორციელების ინსტრუქცია, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სამიზნე ნიშნულები).

2. სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მომზადების განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა ძალაში შევიდეს 2025-2026 სასწავლო წლიდან.

3. დადგენილება დაეგზავნოს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N064).

6. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი